სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/17 2.03 2020 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ვბრძანებ:

1. განხორციელდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა კორპუსში განთავსებულ სასწავლო აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, დერეფნებში, დარბაზებსა და სველ წერტილებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

2. უნივერსიტეტში დასამუშავებელი ფართობის (60 000კვ მეტრი) გათვალისწინებით და ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი შეჩერდეს 2020 წლის 2 მარტს და განახლდეს 2020 წლის 9 მარტს.

3. უნივერსიტეტის კანცელარისს უფროსმა (ე. ცირეკიძემ), მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თეა ვალიშვილმა) ბრძანება განათავსონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს , შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციები

რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესი მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე